

თემა 5

5.1. სიტყვის სემიოტიკური მოდელი: სიტყვა როგორც ენობრივი ნიშანი

ნიშნის მოდელები

ამრიგად, სემიოტიკა არის მეცნიერება ნიშნების ან ნიშანთა სისტემების შესახებ. ენა ნიშანთა მოწესრიგებულ ერთობლიობას წარმოადგენს, ენათმეცნიერებაც სემიოტიკის ერთ-ერთ დისციპლინად უნდა მივიჩნიოთ.

სემიოტიკური მიდგომა ენის მიმართ ძალიან ძველია (ბევრად უფრო ძველი, ვიდრე თვითონ სემიოტიკა). ჯერ კიდევ არისტოტელემ (ძვ.წ. 384–322 წწ.) მიაქცია სიტყვის რეპრეზენტაციულ ანუ წარმომადგენლობით ხასიათს: მისი აზრით კომუნიკაცია შესაძლებელი ხდება მხოლოდ იმის გამო, რომ სიტყვები წარმოადგენენ საგნებს ან მოვლენებს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, სიტყვები არის საგნების წარმომადგენელი „ჩამნაცვლებელი“: (გერმ. შესატყვისია *steht für* ლათ. *aliquid stat pro aliquo* „რაც რაღაცის ნაცვლად“)

თანამედროვე ენათმეცნიერებაც ენის სემიოტიკური გაგებიდან იღებს სათავეს. ფუძემდებლურია ამ მხრივ ფერდინანდ დე სოსიურის მოსაზრება, რომ ენა არის ნიშანთა სისტემა:

ენა არის ნიშანთა სისტემა. რამდენადაც ნიშნების საშუალებით იდეებს გამოვხატავთ, ენა შესაძლებელია შევადაროთ დამწერლობას, ყრუ-მუნჯთა ანბანს, სიმბოლურ რიტუალებს, სამხედრო სიგნალებს და ა.შ. და ა.შ. [...] ის [ენა ლ.ქ.] ქმნის ნიშანთა სისტემას, სადაც მხოლოდ აზრისა და ბგერითი ხატის ურთიერთმიმართებაა არსებითი და სადაც ორივე მხარე (ე.ი. აზრი/მნიშვნელობა და ბგერითი ხატი) თანაბრად არის წარმოდგენილი ფსიქიკურად.

(დე სოსიური 1931: 19)

აქ რამდენიმე ცნება თუ გამოთქმა, ცოტა არ იყოს, ძნელად გასაგებია. მაგალითად რას ნიშნავს „ორივე მხარე თანაბრად არის წარმოდგენილი ფსიქიკურად.“? აქ უნდა გავითვალისწინოთ, რომ სოსიური განასხვავებდა ენას, როგორც კონკრეტულ მეტყველებას (ფრ. *parole* - სიტყვა) და ენას, როგორც სისტემას, როგორც მის ცოდნას, რომელიც ამ მეტყველებას უდევს საფუძვლად (ფრ. *langue* - ენა). მისი აზრით, ენათმეცნიერებისთვის ძირითადად მხოლოდ მეორე ასპექტი უნდა ყოფილიყო საინტერესო. რამდენადაც ლანგუე ფსიქიკური ფენომენია სოსიური საუბრობს ბგერით ხატზე და არა კონკრეტულ აღქმად ბგერით ფორმაზე. ასევე აზრიც (ანუ მნიშვნელობა) აქ გულისხმობს ცნებას და არა დენოტატს – კონკრეტულ აღსანიშნ საგანს. თუ როგორ არის წარმოდგენილი ბგერითი ხატი ფსიქიკურად ამას ფონოლოგიაში გაცნობით, ხოლო აზრსა და მნიშვნელობაზე მოგვიანებით ვისაუბრებთ ლექსიკური სემანტიკის შესწავლისას. ახლა მინდა მხოლოდ ერთ მნიშვნელოვან დეტალზე გავამახვილო

თქვენი ყურადღება: დასახელებულ წინადადებაში სოსიური ხაზს უსვამს ბგერითი ხატისა და აზრის (მნიშვნელობის) ერთიანობას. ნიშნისთვის არსებით თვისებად იგი მიიჩნევს, რომ ნიშანს აქვს ბგერითი და შინაარსობრივი (სემანტიკური მხარე). მოგვიანებით ის ნიშანს ქალაქის ფურცელს ადარებს: ფურცელსაც ნიშნის მსგავსად ორი მხარე აქვს, თუმცა ერთ განუყოფელ მთლიანობას წარმოადგენს.

როგორც ხედავთ ნიშნის სოსიურისეული მოდელი, რომლის მიხედვითაც ნიშანი ბგერითი ხატისა და მნიშვნელობის ერთიანობას წარმოადგენს, ბილატერალური ანუ ორსახოვანია. სემიოტიკაში არსებობს ასევე უნილატერალური/ერთსახოვანი და ტრილატერალური სამსახოვანი ნიშნის მოდელები.

ნიშნის ტრილატერალური მოდელი ჩარლზ სანდერს პირსის მიხედვით პირსი აღმნიშვნელისა და აღსანიშნი ობიექტის მიმართების მიხედვით ნიშანთა სამ ძირითად ტიპს განასხვავებს: იკონებს (გამოსახულებებს), ინდექსებს (სიმპტომებს/მინიშნებებს), სიმბოლოებს (პირობით/კონვენციონალურ ნიშნებს). იკონებთან აღმნიშვნელსა და აღსანიშნს ურთიერთმსგავსება აკავშირებთ. ამ ტიპს მიეკუთვნებიან ნახატები, სქემები, პიკტოგრამები, დიაგრამები, ხმაბაძვითი სიტყვები და რა თქმა უნდა ე.წ. „ემოტიკონები“, რომლებსაც ყველაზე ხშირად იყენებთ.

(Pik|to|gramm das; -s, -e <lat.; gr.>: რაიმეს სტილიზირებული წარმოსახვა, რაც გარკვეულ საორიენტაციო ინფორმაციას მიაწოდებს.)

Emo|ti|con das; -s, -s <Kurz w. aus engl. emotion »Gefühl« u. icon »Bild«>: ნიშანთა კომბინაცია გრძობების კომპიუტერის (იმიჯი, ჩეთი) საშუალებით გამოხატვის დროს (ნაღვლიანი ან მხიარული სმაილები და ა.შ.)

ინდექსების შემთხვევაში აღმნიშვნელი და აღსანიშნი ერთმანეთთან ლოგიკურად (მიზეზ-შედეგობრივად) არიან დაკავშირებული – ერთის ნახვა/გაგება მეორის არსებობას „მოასწავებს“, მასზე მიაწოდებს. ტიპურ ინდექსიკალურ ნიშანთან გვაქვს საქმე მაგ. შემდეგ გამოთქმაში: *Rote Flecken auf seinem Gesicht bedeuten Masern* (წითელი ლაქები მის სახეზე წითურის წითურას მოასწავებენ, წითურის ნიშნებია). ამგვარადვე შეიძლება იყოს ღიმილი კეთილგანწყობის ნიშანი, კვამლი – ცეცხლის ნიშანი, შავი ფერი – გლოვის ნიშანი სხვა.

სიმბოლოებთან აღმნიშვნელი აღსანიშნთან მხოლოდ პირობითად, კონვენციის (საზოგადოებრივი წესების/ნორმების, სიტყვასიტყვით: შეთანხმების) საფუძველზეა დაკავშირებული: ის რომ ა–გრაფემით შესაბამის ბგერას გამოვსახავთ, ან სიტყვა ზღვა ოთხი ფონემისგან <ზ>, <დ>, <ვ> <ა> შედგება, განპირობებულია კონკრეტული ენობრივი კონვენციით და არა აღმნიშვნელისა და აღსანიშნის ურთიერთმსგავსებით. სიმბოლოდ უნდა მივიჩნიოთ სიტყვათა დიდი უმრავლესობა, ასევე სხვადასხვა სახის გრაფიკული ნიშნები და სხვ.

სიტყვას შესაძლებელია ჰქონდეს როგორც ზოგადი ისე სპეციფიკური მნიშვნელობა, ე.ი. მისი მეშვეობით შესაძლებელია გამოვხატოთ როგორც რაიმე კატეგორია (*type*), ისე ამ კატეგორიის კონკრეტული წარმომადგენელი (*token*). მაგ. სიტყვა ვარდი შეიძლება გამოვიყენოთ ნებისმიერი ტიპის ვარდის აღსანიშნად, თუმცა მეტყველებისას მას ჩვეულებრივ გააჩნია კონკრეტული რეფერენტი – აღსანიშნი ობიექტი. მაგ. ეს ვარდი ძალიან ლამაზია).

5.2. კულტურა როგორც ნიშანთა სისტემა

უმბერტო ეკოს ზემოთმოყვანილი ტექსტიდან ეპიზოდის გაცნობის შემდეგ, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არა მხოლოდ სენიორ სიგმას ამ სიტუაციაში არსებობა, არამედ ადამიანის ცხოვრება გარკვეულ კულტურაში საერთოდ უნდა აღიქმებოდეს როგორც ნიშანთა სისტემების გარკვეულ ქსელში ორიენტირების, მასში მოძრაობის უნარი. თავისთავად უცხო გარემოში ყოფნა უცხო ენაზე მეტყველების უნარს გულისხმობს და უცხო ენაზე მეტყველება უკვე თავისებურ სირთულეს წარმოადგენს. მაგრამ თუნდაც ამ ენას საუცხოოდ ფლობდე, სხვა, უცხო გარემოში არსებობა არ შეიძლება მხოლოდ ამ ქვეყნის ხალხის ენაზე მეტყველების უნარით შემოიფარგლებოდეს. ამიტომ უცხო ქვეყნის, მისი კულტურის გაცნობას, მასში გარკვევას და მასში არსებობას აუცილებლად წინ უნდა უძღოდეს საკუთარი, მშობლიური და უცხოსგან სრულიად განსხვავებულ ორიენტირებზე მიმართულ ნიშანთა სისტემების ქსელის ცოდნა. მაშინ იქნება სწორედ შესაძლებელი უცხო ქვეყნის არა მხოლოდ ენის, არამედ მთლიანად კულტურის გაგება და შემეცნება.

ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის, რასაც ჩვენ ჩვეულებრივ კულტურას ვუწოდებთ, სხვა არაფერია თუ არა მეტად რთული და მეტად კომპლექსური ქსელი ნიშანთა სისტემების ერთობლიობა.

ამ აზრის დადასტურება სრულიად უბრალო მაგალითებითაც არის შესაძლებელი. მაგ., „სარეველა“ Unkraut ჰქვია მცენარეს, რომელიც ასე ვთქვათ კარგ, საჭირო მცენარეებს შეერევა ხოლმე და ჩვეულებრივ ადამიანის მიერ ამოიძირკვება, ნადგურდება. თუმცა ჩვენ ვიცით, რომ ბუნებაში მას არსებობის ისეთივე უფლება აქვს როგორც ე.წ. სასარგებლო ან კულტურულ მცენარეებს. ე. ი. აქ ადგილი აქვს ადამიანის მიერ შეფასების, დადებითად ან უარყოფითად შეფასების მომენტს მისი, ანუ ადამიანისთვის სარგებლიანობის პოზიციიდან. ასეთივე პრაგმატიკული დამოკიდებულებაა ცხოველთა სამყაროს მიმართაც, რომელშიც გარკვეული სახეობების არსებობა საფრთხის ქვეშ დადგა. თვით ენა იძლევა ამ შემფასებლურ სიგნალებს: მაგ: მტაცებელი ცხოველები (Raubtiere). როგორც ცნობილია, იმ კულტურებში, მე არ ვლაპარაკობ ახლა რელიგიებზე, ჰინდუისტურ – ბუდისტურ კულტურებში, რომლებიც მთელი სამყაროს განსულიერების თეზისიდან ამოდიან, მათ ენებშიც არ არსებობს ასე ვთქვათ „შემფასებლური“ ელემენტის შემცველი სახელები, რომლებიც ადამიანის პრაგმატიკული დამოკიდებულებით იქნებოდა განპირობებული აგარე სამყაროს მიმართ. ეს

იმას ნიშნავს, რომ ამ კულტურულ გარემოში მყოფ ინდივიდუუმებს სხვაგვარი დამოკიდებულება გააჩნიათ გარემოსადმი, ვიდრე გერმანულ ან ქართულ და ვფიქრობ ვეროპის სხვა კულტურ გარემოში მცხოვრებთ. ეს არის ფაქტი, არც კარგი, არც ცუდი, ანუ ფაქტი, რომელიც ახლა ჩვენს მიერ ყოველგვარი შემფასებლური პოზიციიდან უნდა იყოს თავისუფალი.

როგორც ვხედავთ, თუ კარგად დავაკვირდებით, ნიშანთა სისტემების ქსელის უმცირეს სფეროებშიც ვლინდება ღრმა თავისებურებები და განსხვავებანი, რომლებიც საბოლოოდ ამა თუ იმ კულტურას წარმოადგენენ. ჩვენ ალბათ ყველა დავეთანხმებით უმბერტო ეკოს დასკვნას, რომელსაც ის აკეთებს სენიორ სიგმას ცხოვრების აღწერის დასასრულ ეპიზოდში:

„რა შეიძლება იყოს იმ წიგნის თემა, რომელიც ნიშნის ცნებას ეძღვნება?“ - „ აბსოლუტურად ყველაფერი“ – პასუხობს თავისსავე დასმულ შეკითხვას უმბერტო ეკო.

ჩვენ ვერც კი ვაცნობიერებთ ნიშნებისა და ნიშანთა სისტემათა მრავალფეროვნებას, რომლებთანაც ყოველდღიურად გვაქვს საქმე, რადგან ისინი ჩვენი ცხოვრების ჩვეულებად არიან ქცეულნი, რადგან ჩვენ გაგვაჩნია ცოდნა ამ სისტემების შესახებ.

იმისთვის რომ ჩვენ შევძლოთ კულტურასა და ტრადიციაზე ლაპარაკი, ჩვენ ჯერ უნდა გავმოჯნოთ ორი ურთიერთდაკავსირებული ცნება ერთმანეთისგან. ესენია

კულტურა და ცივილიზაცია

1. **Die Kultur:** კულტურა არის ამა თუ იმ საზოგადოების მენტალური ანუ სულიერი ღირებულებების ერთობლიობა, რაშიც პირველ რიგში სახელოვნო და შემოქმედებითი მოღვაწეობა მოიაზრება.

2. კულტურა არის ამა თუ იმ საზოგადოების განვითარების უმაღლესი გამოხატულება ამა თუ იმ ეპოქაში როგორც ხელოვნებაში აგრეთვე საზოგადოების ცხოვრების ამა თუ იმ დარგში. როგორც არის მაგალითად, კულტურები მიწათმოქმედების დარგში: ყურძნის/მელვინეობის, ციტრუსების, მებაღეობის კულტურები. ასევე კულტურები ბიოლოგიისა და მედიცინის დარგში: ბაქტერიების ან მიკროორგანიზმების კულტურები და სხვა.

3. **Die Kultivirtheit** კულტურულობა არის ამა თუ იმ ინდივიდის ქმედების, გამოხატვის კულტურული სახე.: მაგალითად, ის ხომ კულტურული ადამიანია (Sie ist eine kultivierte Person)

1. ცივილიზაცია არის ტექნიკური და სამეცნიერო პროგრესის ანუ ინტელექტუალური მოღვაწეობის შედეგად მიღწეული ადამიანების გაუმჯობესებული სოციალური და მატერიალური ცხოვრების პირობები

2. შესაბამისად ინდივიდის ცივილიზებულიობა განისაზღვრება აღზრდით, განათლებით მიღებული ცხოვრების წესით, მაგალითად ამბობენ: თანამედროვე ცხოვრების წესი ან დახვეწილი ცხოვრების წესი და ა.შ.

Die Zivilisiertheit - ადამიანის საქციელის შესაბამისი, ცივილიზებული ფორმები

5.3. კულტურა და ტრადიცია

როგორც ვხედავთ, ჩვენ პირველ რიგში გავმიჯნეთ კულტურისა და ცივილიზაციის ცნებები. ახლა კი უნდა ვთქვათ, რომ ეს ორი ცნება ძალიან მჭიდროდ არის ურთიერთდაკავშირებული, რადგან კულტურაზე მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი საუბარი, როდესაც ის გენერაციების ანუ თაობების, მომცველ ცივილიზაციის ფორმებში შეიცნობა და შეიმეცნება. ამ სახით კულტურა აღიქმება და შეიმეცნება როგორც გარკვეული ქცევის ნორმების, პოზიციებისა და შეხედულებების კონტინუუმი ანუ უწყვეტი ხაზი, რადგან კულტურა მუდამ არის მიზნული გარკვეული ცივილიზაციის ფორმების ტრადიციულ გადაცემაზე.

ამ ტრადიციის გადაცემა ერთი გენერაციიდან, ერთი თაობიდან მეორეში მხოლოდ ენობრივი ნიშნების სისტემებით არის შესაძლებელი. რადგან მხოლოდ მიზამდით, იმიტირების გზით შეუძლებელი იქნებოდა რომელიმე კულტურაში ნიშანთა კომპლექსური ქსელის გადაცემა, რომელიც ჩვენ მარტივ ანუ გარე ნიშნებადაც შეგვიძლია წარმოვადგინოთ. მაგალითად, ზარის დარეკვისთვის ღილაკის ფუნქცია ან ლიფტის მომსახურების შემეცნება რაც ბავშვისთვის პირველადი ენობრივი ახსნის გარეშე თითქმის წარმოუდგენელია. თუ ჩვენ ცხოვრებას დავაკვირდებით, ყოველ ფეხის ნაბიჯზე დავინახავთ რომ ცივილიზაციის ნორმები ენის საშუალებით შეითვისება ადამიანის მიერ. ასევე ისიც, რაც საკუთრივ კულტურას შეადგენს ე.ი. ქცევის ფორმები და გარკვეული პოზიცია, დამოკიდებულება სინამდვილის მიმართ ენის შუამავლობის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა, მაგალითად ის რაც ზრდილობად, გულწრფელობად ან სიცრუედ არის მიჩნეული და ტრადიციით გადმოიცემა ამა თუ იმ ხალხში მხოლოდ და მხოლოდ ენის მეშვეობით გადმოიცემა და ხორციელდება. სიტყვა „სიბეჯითე“ სამხრეთ ესპანელისთვის სხვას ნიშნავს, ვიდრე გერმანელისთვის, ხოლო ის რაც გერმანელს სიტყვის „გულწრფელობა“ ქვეშ ესმის, ინდონეზიელისთვის უზრდელობა და სისულეა.

ამრიგად, კიდევ ერთხელ უნდა გავუსვათ ხაზი იმ ფაქტს, რომ ყველა ეს პოზიცია და კულტურული ფასეულობები მხოლოდ ენით გადმოიცემა. ენის მეცნიერული შესწავლა ყოველთვის უნდა ხდებოდეს შესაბამისი სპეციფიკური, ანუ სხვებისაგან სრულიად განსხვავებული კულტურის ფონზე. სემიოტიკური პროცესი, რომელის მეშვეობითაც ხდება საგნების, შინაარსებისა და მიმართებების აღნიშვნა როგორც პროცესი ერთგვარად მიმდინარეობს ყოველ კულტურაში. სხვადასხვაგვარია რ ა და რ ო გ ო რ ანუ

განსხვავებული ენობრივი რეპრეზენტაცია ანუ წარმოჩინება იმისა, რასაც ჩვენ სინამდვილეს ან ყოფიერებას ვუწოდებთ.

მაგალითი: გერმანულ ენაში შვილების პოზიციიდან მშობლების და-ძმას Onkel და Tante ეწოდებათ. ეს აღნიშვნები ეხება როგორც მამის ისე დედის და-ძმას. მაგრამ შუაზემოგერმანულზე ისევე როგორც დღევანდელ ზოგიერთ დიალექტში დიფერენცირებულად აღინიშნება დედის და მამის და-ძმა: მამის და როგორც Base, ხოლო დედის და როგორც – Muhme. ქართულში ჩვენ ვიცით, რომ ასეთი ნათესაობრივი დიფერენციაცია უფრო შორსაც მიდის: ბიცოლა, მაზლი, მაზლის ცოლი, ძმის შვილი, დის შვილი, დის ქმარი – სიძე, რძალი და ა.შ.

საფუძველი ამ განსხვავებებისა შესაძლოა კულტურების სხვადასხვა სოციალურ სტრუქტურებში ძვეს: გერმანიაში ტრადიციულად ოჯახი უფრო მცირე ერთეული იყო ვიდრე საქართველოში ან თუნდაც ინდონეზიაში, სადაც ქართულის ანალოგიურად დიფერენცირებულია აღნიშვნები ნათესაობის გამოსახატავად.

დაფიქრება და განსჯა იმის შესახებ თუ რა არის ენა დაიწყო მაშინ, როცა ერთი ტომის წარმომადგენლები შეხვდნენ მეორეს: ენა როგორც ის საშუალება, რომელიც ერთი ტომის ფარგლებში მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში ასე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, ვეღარ ფუნქციონირებდა სხვა, უცხო ტომების წარმომადგენლებთან (აქედან სიტყვა barbaroi = ტომის წარმომადგენელი, Stammler), რომელთა (უცხო) ენაც თავის მხრივ მათთვის ენასაც კი არ წარმოადგენდა, რადგან ის მათ არ ესმოდათ. თავის დაქნევა ან დუმილი, ანუ ვერბალური კომუნიკაციის შეწყვეტა თავისებური უმწეობის გამომხატველ რეაქციადაც შეიძლება ამ შემთხვევაში შეფასდეს: ანუ როცა ეს არავერბალური საშუალებები თან კი არ ახლავს ვერბალურ კომუნიკაციას, არამედ ცვლის მას.

ხოლო ყოველდღიურ კომუნიკაციაში, როგორც უკვე ავღნიშნეთ, თუნდაც დისკუსიის დროს ერთ აზრის გამოხატვის შესაბამისი ერთეულები წარმოადგენენ ენის მემკვიდრით თვით ენაზე საუბრის საშუალებებს.

ენის როგორც კვლევის ობიექტის, მისი რეფლექსიისთვის შექმნილ სამეცნიერო ენას ე.წ. მეტაენა ეწოდება. ამრიგად, ენათმეცნიერება არის მეორე რიგის ენა, რომლითაც ჩვენ ავღწერთ ობიექტური ენის (როგორც პირველი რიგის) ელემენტებსა და სტრუქტურებს, რომლებიც თვით საგნებსა და გარე სამყაროს მოვლენებს აღინიშნავენ.

ამ თვალსაზრისით ფილოსოფია, რიტორიკა და თეოლოგიაც შეიძლება დღევანდელი ენათმეცნიერების წინამორბედებად წარმოვიდგინოთ. ენათმეცნიერება, რომელიც საკუთარი ინტერესებითა და მეთოდებით განისაზღვრება, უფრო ახალგაზრდაა ვიდრე ზემოთჩამოთვლილი მეცნიერებები. იგი მხოლოდ მე-19 საუკუნის პირველი ნახევრიდან გამოიყო ზოგადი ფილოლოგიიდან და და მის წიაღშივე დამკვიდრდა როგორც ცალკე მეცნიერება.

მაშასადამე, ენათმეცნიერება ანუ ლინგვისტიკა ერთი მხრივ ადამიანური ენის აღწერასა და მის კვლევას გულისხმობს, ხოლო მეორე მხრივ ცალკეულ ე.წ. ბუნებრივ ენებს იკვლევს. მას გააჩნია რამოდენიმე ქვედისციპლინა. ზოგიერთი მათგანი ჩვენ ზემოთ უკვე მოკლედ განვიხილეთ.

აქედან ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული, როგორც ზემოთაც დავინახეთ, ენის აღწერის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია *ars grammatica*“ (ბერძნ: *techne grammatike*) რომელიც შუა საუკუნეებში დაუკავშირდა კანონიკური ენების, ბერძნულისა და ლათინურის სასკოლო გრამატიკის სწავლებას. ხოლო შემდგომ მოხდა მათი გერმანული გრამატიკებით ჩანაცვლება.

5.4. ლინგვისტიკა(ენათმეცნიერების იდენტური საერთაშორისო ტერმინი): სემიოტიკის განსაკუთრებული დისციპლინა

თუ სემიოტიკა მეცნიერებაა ყოველგვარი სემიოტიკური სისტემების შესახებ, ლინგვისტიკა წარმოადგენს მის ერთ-ერთ ქვედისციპლინას, რომელიც იკვლევს და აღწერს საერთოდ ადამიანური ენის ფუნქციონირებას, რომელიც უნდა განვასხვავოთ ცალკეული ენის ან ენათა ჯგუფის ლინგვისტიკისაგან: მაგ., გერმანისტიკა, რომელის შესწავლის ობიექტს დღეს წარმოადგენს უპირველეს ყოვლისა ცალკეული, გერმანული ენა. E

ენის განსაკუთრებული სტატუსი, მისი ადგილი სხვა ნიშანთა სისტემებში იმაში მდგომარეობს, რომ ენა განასხვავებს ადამიანს ცხოველისაგან, მიუხედავად იმისა, რომ ცხოველებს თავის სახეობის წარმომადგენლებთან სიმბოლურად შეუძლიათ კომუნიცირება: სიგნალები, რომლებსაც ცხოველები გამოსცემენ, უპირველესად ბუნებრივ რეფლექსებს წარმოადგენენ. ასე მაგ., გარკვეულ სიტუაციაში, მოახლოებული საშიშროების შემთხვევაში გარკვეულ ბგერებს გამოსცემენ, რაზეც მისი სახეობის სხვა წარმომადგენლები ადექვატურად რეაგირებენ. ამრიგად, ამ შემთხვევაში მოქმედებს თანდაყოლილი აუცილებელი რეფლექსი. მაგრამ თუ უკვე ამ ბგერების გამეორების შედეგად, ცხოველები გარბიან, იმ შემთხვევაშიც თუ ისინი საფრთხეს ვერ ამჩნევენ, მაშინ ეს შიშის გამომხატველი ბგერა უკვე იქცა სიგნალად. ეს არის ცნობილი რუსი ფსიქოლოგის და ფიზიოლოგის პავლოვის (1848-1936) ტერმინოლოგიით სიგნალების პირველი სისტემა, რასაც ემყარება ცხოველთა წვრთნა (პავლოვის ძალი მორბის პატრონთან, როცა ის ჯერ სასუსნავს აძლევს მას გარკვეული სიტყვის წამოძახილის შემდეგ, ხოლო შემდგომ ძალი მორბის პატრონთან უკვე მხოლოდ ამ სიტყვის წარმოთქმის შემდეგაც).

მისგან სრულიად განსხვავებულია ადამიანების კომუნიკაცია, რომელიც ხორციელდება სიმბოლური ინტერაქციის საფუძველზე.

ცხოველისთვის სრულიად წარმოუდგენელია ორ სხვადასხვა სიგნალზე ერთგვარი რეფლექსის გამოწვევა. ადამიანი კი რეაგირებს სიტყვის მნიშვნელობაზე, რადგან ინტერაქცია სიმბოლეების საშუალებით ხორციელდება. მაგ. შუქი გამოითიშა. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ: მთელ ქალაქში ბნელა. ან: ყველგან წყვდიადია. ეს ორი სიტყვა ფიზიკურად სრულიად სხვადასხვა სიგნალია, რომელიც ერთ შინაარსს გამოხატავს.

პავლოვმა ადამიანთა კომუნიკაციის ეს დონე აღნიშნა ტერმინით: სიგნალთა მეორე სისტემა.

მართალია ფუტკრის მოძრაობებიც, რომელიც თავისი განსაკუთრებული ცეკვის საშუალებით ატყობინებს დანარჩენებს საკვების ადგილსამყოფელს გარკვეულწილად სიმბოლურია, მაგრამ ეს გაგებინების თავისებურ მარტივ სისტემას წარმოადგენს.

ადამიანის ენას კი ბევრად უფრო მეტი ფუნქციები აქვს ვიდრე ეს გაგებინებაა. როცა ჩვენ რაიმეს გვატყობინებენ, ჩვენ კი ამ შეტყობინებას ვერ ვიგებთ, ჩვენ შეკითხვებს ვსვამთ. ხოლო როდესაც რაიმე გვსურს, მაგალითად შიმშილს ვგრძნობთ, ჩვენ შეგვიძლია ვინმეს მოვთხოვოთ საჭმელი. მმაგრამ ენის ამ ფუნქციების ჩამონათვალიც: შეტყობინება, შეკითხვა, მოთხოვნა არ იქნებოდა საკმარისი. როდესაც თქვენ ლექციების ტექსტის ამ ნაწილის კითხვას შეუდგებით, შესაძლოა სხვადასხვა, შემფასებლური აზრი გაგიჩნდეთ და თქვენთვის ჩაიბუტბუტოთ: „ეს მე სულაც არ მაინტერესებს“ ან „საკმაოდ საინტერესოა“, და მაშინ საქმე არც შეტყობინებასთან, არც შეკითხვას ან მოთხოვნასთან გეჭენებათ, თქვენ ხომ ამ წუთას კომუნიკაციის პარტნიორიც კი არა გყავთ, არამედ მხოლოდ ფაქტის კომენტარებასთან.

ადამიანს შეუძლია ქესტ-მიმიკის ენითაც კომუნიცირება, ანუ არაენობრივი შეტყობინებების (ე.წ. ნონ ვერბალური – non verbal კომუნიკაციის) შესრულება: მაგ., თითის დაქნევით ვინმეს თავისთან მოხმობა, შუბლის შეჭმუხვნით შეკითხვის გამოხატვა. თითქმის ყველა ენობრივი ფუნქცია შესაძლოა არაენობრივი საშუალებებით გამოიხატებოდეს, ისევე როგორც ზოგიერთი კომუნიკაციური ფუნქციის გამოხატვა ამ გზით ცხოველსაც ძალუძს.

მიუხედავად იმისა, რომ ფუტკარს შესწევს უნარი ფიჭაზე მოძრაობით სიმბოლურად მიუთითოს სივრცობრივად მოშორებულ საკვების სამყოფელის ადგილზე, ადამიანის ენას შეუძლია მიუთითოს არა მხოლოდ რეალურად არსებულზე, არამედ წარმოსახვით სივრცეებს, შინაარსებსა თუ ქმედებებზე. „ფუტკრის“ენა“ უცვლელია, რადგან იგი ბიოლოგიურად, გენეტიკურად გადაეცემა ამ სახეობის წარმომადგენლებს.

ენობრივი და არაენობრივი კომუნიკაციის განმასხვავებელი კრიტერიუმია ის მდგომარეობა, რომ ადამიანის არაენობრივი კომუნიკაცია მის სიტუაციასთან, მის ადგილსამყოფელთან, მის აქ და მის სამეტყველო სიტუაციასთან, მის დროსთან, მის ახლა-სთან არის დაკავშირებული.

ამრიგად ენის და შესაბამისად მეტყველების უნარის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა მაგალითად: გუშინდელ ამბებზე მინიშნების გაკეთება, გარკვეული დაბადების დღის სამი წლის შემდეგ გახსენება, ვარსკვლავთა კონსტელაციაზე (განლაგებაზე) ან არარსებულზე,

მითოლოგიურზე (გველვეშაპი, დევი) ან აბსტრაქტულზე (დემოკრატია), ან უხილავზე, შეუცნობადზე ან ტრანსცენდენტულზე (იმქვეყნიურზე) საუბარი, როგორც არის ღმერთი, ან ბოროტი ძალა, ან ანგელოზი და ა.შ..

მაგრამ თუ ქართული წარმოშობის ჩვილი სხვა ენობრივ გარემოში გაიზრდება, თუნდაც იაპონურში, ის აუცილებლად იაპონურად დაიწყებს ლაპარაკს, რადგან მართალია ადამიანში ჩადებულია მეტყველების უნარი, მაგრამ გარკვეულ ენაზე, დედა ენაზე ლაპარაკსაც კი ის ყოველთვის სწავლობს(Mutterspracherwerb).

5.5. ენა როგორც სოციალური ფენომენი

ამრიგად, ადამიანის ენა ჩვენ უნდა განვიხილოთ როგორც სოციალური ფენომენი. ენა და საზოგადოება ერთმანეთს განსაზღვრავენ: ისევე როგორც ენის გარეშე არ არსებობს სოციალური ერთიანობა- სოციუმი, ისევე არ არსებობს ენაც სოციუმის გარეშე. ენა ყოველთვის არის განპირობებული გარკვეული საზოგადოების სოციალური და ისტორიული პირობებით და ამ პირობების ცვლილებს ექვემდებარება: ამიტომაც არის ენა ცვლადი ანუ პროდუქციული ფენომენი. მძისგან განსხვავებით კომუნიკაცია ცხოველთა სამყაროში ბიოლოგიურად არის განპირობებული, იგი უცვლელია და ფიქსირებული.

ამრიგად, ადამიანური ენა ყველა სხვა ნიშანთა სისტემებთან შედარებით არა მხოლოდ ქვანტიტატიურად ანუ რიცხობრივად არამედ ქვალიტატიურადაც ანუ ხარისხობრივადაც ყველაზე მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული სტატუსის მქონე სისტემაა ყველა არსებულ სისტემათა შორის.

ჩვენ დავინახეთ, რომ ადამიანური ენა, (იქნება ეს ქართული, გერმანული, ჩინური თუ სხვა ენები) სხვაგვარი სახის მრავალგვარ არაენობრივი ნიშანების სისტემებთან ერთად გარკვეული კულტურის ქსელს წარმოადგენს. ეს არის ე.წ. კვანტიტატიური(რაოდენობრივი) მიდგომა კულტურისადმი. მმაგრამ კვალიტატიური ანუ ხარისხობრივი მიდგომით ენა, როგორც ვერბალურ ნიშანთა სისტემა და ამვდროულად ამ ნიშნების მოქმედების მექანიზმი უმნიშვნელოვანეს სისტემას წარმოადგენს ყველა სხვა სისტემას შორის. როგორც როლან ბარტი ამბობს (1964) გარკვეული წესების მიხედვით ურთიერთდაკავშირებული ენობრივი ნიშნები შეიძლება შევადაროთ მონეტას, რომლითაც რაიმეს ყიდვა შეიძლება და რომელსაც გაკვეული ღირებულება (სოსიურის ტერმინით Valeur ან გერმ. / Wert) გააჩნია. სწორედ ასევეა შესაძლებელი ენობრივი ნიშნით ან ენობრივი ნიშნების ურთიერთმიმართებებით, რომლებსაც გარკვეული ღირებულება(მნიშვნელობა) გააჩნიათ, კომუნიკაციის დამყარება კომუნიკანტებს შორის: შეტყობინება, შეკითხვა, ბრძანება, კომენტირება, არგუმენტირება და სხვ.